**Dinara Tikaradze <dinara.tikaradze@tsu.ge>**

# FW: კარტრიჯები_ინპექტირება

2 messages

**nato.chubinidze@tsu.ge** <nato.chubinidze@tsu.ge> Wed, Aug 9, 2017 at 7:22 PM
To: dinara.tikaradze@tsu.ge

---

**From:** Ketevan Kadagidze [mailto:KKadagidze@spa.ge]
**Sent:** Wednesday, August 9, 2017 6:30 PM
**To:** nato.chubinidze@tsu.ge
**Subject:** FW: კარტრიჯები_ინპექტირება

მოგესალმებით, სატენდერო კომისიამ განიხილა თქვენი წერილი პრინტერებისა და კარტრიჯების კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საქონლის მიწოდებასა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან დაკავშირებით.

შპს „იუჯითის" განმარტებით, მომწოდებელი მზადაა ჩაანაცვლოს ცელოფნიანი შეფუთვით მოწოდებული 2 ერთეული კარტრიჯი ქარხნული ყუთით შეფუთული 2 ერთეული კარტრიჯით.

---

გთხოვთ, იხილოთ მწარმოებლის თანდართული წერილი, ერთი ყუთის შემადგენლობაში შემავალი საქონლის (1 ერთეული პრინტერისა და 3 ერთეული კარტრიჯის) აუთენტურობასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია

**from:** print2017 spa gov ge
**Sent:** Wednesday, August 9, 2017 5:50 PM
**To:** Ketevan Kadagidze <KKadagidze@spa.ge>
**Subject:** FW: კარტრიჯები_ინპექტირება

**From:** Giorgi Londaridze [mailto:Giorgi.Londaridze@ugt.ge]
**Sent:** Tuesday, August 8, 2017 5:27 PM
**To:** print2017 spa gov ge <print2017@spa.gov.ge>
**Subject:** FW: კარტრიჯები_ინპექტირება

მოგესალმებით,

2017 წლის 7 აგვისტოს თქვენს მიერ მოწერილ საკითხთან დაკავაშირებით განვმარტავთ, რომ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში 2017 წლის 7 ივლისს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მივაწოდეთ ორი ხელშეკრულებით გათვალისწინებული A4 ფორმატის "B" ტიპის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერები და მისთვის განკუთვნილი ტონერიანი კარტრიჯები, ჯამში 66 ცალი პრინტერი და 118 ცალი ტონერიანი კარტრიჯი, საიდანაც 116 ცალი ტონერიანი კარტრიჯი განთავსებული იყო უშუალოდ პრინტერის ქარხნულ შეფუთვაში, ხოლო დამატებით 2 ცალი ტონერიანი კარტრიჯი გადაცემულ იქნა ქარხნულად (გერმეტულად) შეფუთულ ცელოფნის პარკში, რომელზეც მითითებულია შტრიხ კოდი, აგრეთვე ტონერიან კარტრიჯზე ქარხნულად ამოტვიფრულია მწარმოებლის დასახელება, მოდელი და ტონერიანი კარტრიჯის ნომერი, წერილს თან ერთვის მწარმოებლის მიერ ოფიციალური წერილი, მასზედ რომ ჩვენს მიერ მიწოდებული ტონერიანი კარტრიჯები არის ორიგინალი და იდენტურია ყუთში მოთავსებულ ჰოლოგრამიან კარტრიჯებთან, აგრეთვე აქვს Lifetime Warranty, რაც ნიშნავს იმას რომ მისი ვარგისიანობის ვადა არა 1 წელი არამედ ის ვარგისია მისი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. აქვე დავსძენთ, გაუგებრობის უსწრაფესი გზით მოგვარების მიზნით, გამომდინარე იქიდან რომ გავიდა ზუსტად ერთი თვე რაც გადავეცით ტექნიკა შემსყიდველს და დღემდე არ განუხორციელებით ანგარიშსწორება, მზად ვართ ყოველგვარი ეჭვის გასაქარწყლებლად გადავუცვალოთ დამატებით გადაცემული 2 ცალი ტონერიანი კარტრიჯი, ყუთში შეფუთულ ჰოლოგრამიან ტონერიან კარტრიჯებზე.

პატივისცემით,

გიორგი ლონდარიძე

**From:** keti kadagidze [mailto:kkadagidze@yahoo.com]
**Sent:** Monday, August 7, 2017 3:29 PM
**To:** Giorgi Londaridze <Giorgi.Londaridze@ugt.ge>
**Subject:** Fw: კარტრიჯები_ინპექტირება

მოგესალმებით,

2017 წლის 3 აგვისტოს, სატენდერო კომისიის სახელზე (ჩემს პირად მეილზე) წარმოდგენილ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის წერილი პრინტერებისა და კარტრიჯების კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში საქონლის მიწოდებასთან და მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით. გთხოვთ განიხილოთ და გვაცნობოთ შპს "იუჯითის" პოზიცია, წერილში დასმულ საკითხთან დაკავშირებით. გთხოვთ, თქვენი პასუხი მომწეროთ სამსახურებრივ მეილზე print2017@spa.gov.ge

პატივისცემით,

ქეთევან ქადაგიძე

კონსოლიდირებული ტენდერების სამსახურის უფროსი

On Thursday, August 3, 2017 10:25 AM, "nato.chubinidze@tsu.ge" <nato.chubinidze@tsu.ge> wrote:

მოგესალმებით,

მოგახსენებთ რომ 21.07.2017 მოგმართეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე print2017@spa.gov.ge , სადაც დასმული იყო შეკითხვები კონსოლიდირებული ტენდერის CON170000039 (ლაზერული B ტიპის მულტიფუნქციური პრინტერების შესყიდვა), მიღებული პრინტერების კარტრიჯების მიღებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. ტექნიკური დავალების დანართი 2-ში, (სტანდარტული პრინტერისა და სტანდარტული კარტრეჯის პარამეტრები)მე-5 პუნქტის თანახმად - კარტრიჯები უნდა იყოს დაცული გაყალბებისაგან დამცავი ჰოლოგრამით. მოწოდებული კარტრიჯის ტონერი მოთავსებულია პოლიეთილენის პარკში და არ გააჩნია გაყალბებისაგან დამცავი ჰოლოგრამა. (დანართი1)

2. მოთხოვნილია, რომ მისაწოდებელი სტანდარტული კარტრიჯების ვარგისიანობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 (ერთი) წელს; (დანართი 1)

მოწოდებულ კარტრიჯებს აწერია მხოლოდ გამოშვების თარიღი 2016. 07.06, მაგრამ ვარგისიანობის ვადა არაა მითითებული. ვეცადეთ ვარგისიანობის ვადა მოგვეძიებინა მწარმოებლის ოფიციალურ ვებ გვერდზე, თუმცა აღნიშნული პარამეტრი საიტზე არ წერია.

ამასთან დაკავშირებით კომპანია იუ ჯი თი-მ მოგვაწოდა მწარმოებლის ოფიციალური წერილი (დანართი 2), რომლეშიც მწარმოებელი კომპანია ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოებულ პრინტერებს **(HP LaserJet Ultra M134fn** და **HP LaserJet Ultra M106w)** ის კარტრიჯები, რომელიც თან ერთვის ქარხნულ შეფუთვაში არის ორიგინალი და მათი ვარგისიანობის ვადა არის სრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

მოგახსენებთ, რომ ივანე ჯავახიშვილიუს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კომპანია იუ-ჯი-თი-გან მიიღო 66 ცალი პრინტერი (**HP LaserJet Ultra M134fn**), და 118 ცალი კარტრიჯი **(HP 33A Black Original LaserJet Toner Cartridge),** აქედან:

**25 ცალი პრიტერი** მოწოდებულია ქარხნული შეფუთვით (ყუთით სადაც განთვასებულია პრინტერი, 1 ცალი კარტრიჯი, რომელიც დევს პრინტერში (შეფუთვის გარეშე, რადგან კარტრიჯი მოთავსებულია თავად პრინტერში) და 2 ცალი კარტრიჯი, რომელიც შეფუთულია პოლიეთილნის პარკში), ამ ფორმატით მოწოდებულია ჯამში 75 ცალი კარტრიჯი. (დანართი 3)

ასევე **25 ცალი პრინტერი**, რომელიც ასევე შეფუთულია ქარხნულად (ყუთით სადაც განთავსებულია 1 ცალი პრინტერი და 1 ცალი კარტრიჯი, რომელიც დევს პრინტერში (შეფუთვის გარეშე, რადგან კარტრიჯი მოთავსებულია თავად პრინტერში)), კომპანია იუ-ჯი-თი-ს მხრიდან ყუთებიდან ამოღებულია დამატებითი კარტრიჯები თითოდან 2 ცალი. ამ ფორმით მოწოდებულია ჯამში 25 ცალი კარტრიჯი. (დანართი 4)

**16 ცალი** პრინტერი, რომელიც ასევე შეფუთულია ქარხნულად (ყუთით სადაც განთავსებულია 1 ცალი პრინტრი და 1 ცალი კარტრიჯი, რომელიც დევს პრინტერში (შეფუთვის გარეშე, რადგან კარტრიჯი მოთავსებულია თავად პრინტერში)), კომპანია იუ-ჯი-თი-ს მხრიდან ყუთებიდან ამოღებულია დამატებითი კარტრიჯები თითოდან 2 ცალი. ამ ფორმატით მოწოდებულია 16 ცალი კარტრიჯი (დანართი 5)

ხოლო **2 ცალი** კარტრიჯი მოწოდებულია მხოლოდ პოლიეთილენის პარკით, არ არის განთავსებული ქარხნული კომპლექტაციის (პრინტერებთან ერთად) შეფუთვაში და ისევე როგორც დანარჩენ კარტრიჯებს არ გააჩნია დამცავი ჰოლოგრამა, რომელიც მოთხოვნილია ტექნიკური დავალებით.

გთხოვთ, დაგვიდასტუროთ გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებელი ოფიციალურ წერილში ადასტურებს ქარხნულ შეფუთვაში არსებული კარტრიჯების ავთენტურობას, შესაძლებელია თუ არა ჩვენის მხრიდან მიღებულ იქნას აღნიშნული 116 კარტრიჯი, მიუხედავად იმისა, რომ მათზე არ არის დატანილი დამცავი ჰოლოგრამა, რაც მოთხოვნილია ტექნიკური დავალებით და ასევე დატანილია მხოლოდ გამოშვების თარიღი, ამაზე ოფიციალური მწარმოებელი გვატყობინებს, რომ ვარგისიანობის ვადა არის სრული სასიცოცხლო ციკლი.

ხოლო 2 ცალი კარტრიჯი, რომელიც დამოუკიდებელი სახით არის წარმოდგენილი ჩაანაცვლონ ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი მახასიათებლების შესაბამისად.

პატივისცემით,

Nato Chubinidze

Head of IT Department

Iv. Javakhishvili Tbilisi State Univesity

1, Ilia Tchavtchavadze Ave.

0179 Tbilisi, Georgia

M. +995 577 12 49 42

T. +995 322 22 72 87

nato.chubinidze

www.tsu.ge

This email and attachments may contain confidential information and/or copyright material. This email is intended for the use of the addressee only. Any unauthorised use may be unlawful. If you receive this email by mistake, please advise the sender immediately by using the reply facility in your email software, immediately delete the original e-mail and it's attachments from your system and do not disclose or otherwise take any action against its content. While this email has been scanned for all known viruses, internet communications may not be secure or virus-free; UGT does not accept responsibility for any damage arising from unauthorized access to this e-mail, or interference with, by any third-party.

**HP letter.pdf**
374K

**Dinara Tikaradze** <dinara.tikaradze@tsu.ge> Mon, Aug 21, 2017 at 12:36 PM
To: beso aladashvili <besoaladashvili@gmail.com>

[Quoted text hidden]

HP Europe B.V.
Amsterdam, Meyrin Branch
Route du Nant d'Avril 150
CH-1217 Meyrin/ Genève
Switzerland

**Date: 27.07.2017**
**№: 232/INF/2017**

**To whom:** State Procurement Agency
8, Richard Holbrooke, Tbilisi 0113, Georgia

**Information letter**

Dear All,

On behalf of HP Europe B.V., Meyrin Branch, Switzerland (herein "HPEBV"), we inform you that:

The cartridges HP 33A Black Original LaserJet Toner Cartridge(CF233A) which are included in the packing list of HP LaserJet Ultra MFP M134fn and HP LaserJet Ultra M106w Printer (herein the Product) are authentic, identical and carry the same specification as the ones sold separately in cardboard packaging and stamped with hologram.

The Product is covered by a lifetime warranty.

Sincerely,

**HP Europe B.V**

**Amsterdam, Succursale de Meyrin**

Respectfully yours,

Erik Chang
Manager Channel Sales Operations
EMEA – Europe, Middle-East & Africa

HP Europe B.V.
Amsterdam, Meyrin Branch
Route du Nant-d'Avril 150
1217 Meyrin, Switzerland